ფრე ლენინგრადში

გუშინ ლენინგრადში თბილისის “დინამო” ადგილობრივ “ზენიტს” შეხვდა.

თბილისელთა შეტევებს უკვე მე–5 წუთზე მასპინძელთა კარის აღება მოჰყვა. ბურთი გაიტანა შენგელიამ. შემდეგ სტუმრებს კიდევ ჰქონდათ ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ამაოდ.

შესვენების შემდეგ ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ. თუმცა, დროდადრო დინამოელებიც სახიფათოდ უტევდნენ ლენინგრადელთა კარს. თბილისელებს ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ მოხდა პირიქით: როცა მატჩი იწურებოდა, 82–ე წუთზე ლენინგრადელმა დამინმა გაქვითა ანგარიში – 1:1.

“დინამო” ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ჩელებაძე, კოპალეიშვილი).

ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა – 1:0.

“ლელო”, 27 აგვისტო, 1977 წ